პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 163 (13855) | პარასკევი, 14 ივლისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

# ზეიმობს ორდენოსანი აჭარა

## ხალხმრავალი მიტინგი ბათუმში, ლენინის მოედანზე

ბათუმი, 13 ივლისი. (საქდესის კორ.). აღმაფრთოვანებელი, სასიხარულო ცნობა მოვიდა მზიურ აჭარაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სახალხო მეურნეობის განვითარებასა და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ამ სასიხარულო ამბავს მიეძღვნა აჭარის მშრომელთა წარმომადგენლების ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც 13 ივლისს გაიმართა ბათუმში ლენინის სახელობის მოედანზე.

მიტინგი გახსნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. მ. დავითაძემ.

სიტყვა მიეცა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ა. დ. თხილაიშვილს.

— დღეს, — თქვა ამხ. თხილაიშვილმა, — აჭარის მშრომელებისათვის დიდი და სასიხარულო დღესასწაულია. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს მათს თავდადებულ შრომას საყვარელი სამშობლოს სასახელოდ და სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დააჯილდოვეს აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

უდიდესი სიამაყისა და სიხარულის გრძნობით აღივსო ჩვენი რესპუბლიკის თითოეული მშრომელის გული. ამ გრძნობას კიდევ უფრო აძლიერებს იმის შეგნება, რომ ეს დიდი მოვლენა აჭარის მშრომელთა ცხოვრებაში მოხდა ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება ზეიმით აღნიშნოს მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სახელოვანი 50 წლისთავი.

დიდმა ოქტომბერმა ნამდვილი თავისუფლება მოუტანა აჭარის მშრომელებსაც. საკმარისია ითქვას, რომ ჩამორჩენილი მხარე აჭარა საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა ინდუსტრიულ რესპუბლიკად, რომელსაც დიდად განვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა აქვს. აყვავდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. განმტკიცდა ხალხთა ურღვევი მეგობრობაც.

ტრიბუნაზეა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ბაბუნია. იგი აღფრთოვანებით ლაპარაკობს:

— უსაზღვრო სიხარულის გრძნობით აღივსო ჩვენი აყვავებული რესპუბლიკის მშრომელთა გული. ჩვენს შრომას მაღალი შეფასება მისცეს, იგი მთავრობის ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. გამოვხატავ რა ჩემი ამხანაგების ფიქრებს, მინდა დღეს პარტიასა და მთავრობას ვუთხრა: დიდი მადლობა! აღგითქვამთ, რომ თითოეული ჩვენგანის შრომა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება.

სიტყვას ამბობს ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნე, სოციალისტური შრომის გმირი ქ. გოგიტიძე.

— დღეს ყველა ჩვენგანი, — თქვა მან, — ჩინებულ გუნებაზეა. ეს გამოიწვია დიდმა მოვლენამ — აჭარა ლენინის ორდენით დაჯილდოვეს. და ამ საზეიმო ჟამს არ გვავიწყდება, რომ მთავრობის მაღალი ჯილდო ახალი შრომითი წარმატებებისათვის მოუწოდებს ყოველ ჩვენგანს.

საუბილეო წელს რესპუბლიკის მეჩაიეები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე — დაამზადებენ 34.560 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლს. ამ ვალდებულების შესრულებაში მეც შევიტანან ჩემს მცირეოდენ წვლილს, მოვკრეფ 9.500 კილოგრამ მწვანე ჩაის ფოთოლს.

სიტყვა ეძლევა სახელმწიფო პრემიის ლაურეატს სოციალისტური შრომის გმირს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ქ. ბახტაძეს. მან თქვა:

— აჭარის ასს რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოება ყველას გვახარებს, მაგრამ ამასთანავე ბევრ რამესაც გვავალებს. როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვანი კულტურაა ჩაი, რომლის განვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე კოლოსალური წარმატებანია მიღწეული. მაგრამ მეჩაიეობის შემდგომი აღმავლობის შესაძლებლობანი ჩვენში განუსაზღვრელია. გვახარებს მეჩაიეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებანი და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ვამრავლოთ ეს მიღწევები.

პარტიისა და მთავრობისადმი მადლიერებისა და გულწრფელი მადლობის გრძნობები გამოსატეს თავიანთ გამოსვლებში ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ბ. ცინცაძემ, შუახევის რაიონის სოფელ კვიახიძეების კოლმეურნეობის მეთამბაქოემ შ. ფუტკარაძემ, ხულოს რაიონის სოფელ ბოძაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზ. შავაძემ, ბათუმის ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობბაზის მთავარმა ინჟინერმა დ. სობოლევმა, საქართველოს ალკაჯ ქედის რაიონის მდივანმა ნ. ბათმანაძემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. ხინიკაძემ, პოეტმა ფ. ხალვაშმა, ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის უფროსმა ი. ობანეზოვმა და სხვებმა.

მიტინგის მონაწილეებმა სკპკ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელები, მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებულნი, კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, საუბილეო წლის სამშობლოს მისცემენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დიდძალ პროდუქციას და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ სკპკ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

# აღგილობრივი საბჭოების დიდი საზრუნავი

საუბილეო წლის პირველი ნახევარი გავიდა. ახლა საქართველოს მშრომელთა ფიქრები და საქმეები იმისკენ არის მიმართული, რომ ღირსეულად შეხვდნენ დიდ დღესასწაულს, შეასრულონ საოქტომბრო ვალდებულებანი.

საუბილეო წლის საქმეებით ცხოვრობენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებიც. რევოლუციურ ქარიშხალთა წლებში შექმნილი საბჭოები სისხლხორცეულად არიან დაკავშირებულნი ხალხთან, ავითარებენ საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემის დემოკრატიზმს. მსოფლიოში უმაგალითო, არნახული ძალის წარმომადგენლობითი დაწესებულებანი უწოდა მათ ვ. ი. ლენინმა, და ცხოვრება ყოველდღიურად ადასტურებს ამას. წლევანდელი არჩევნების დროს საბჭოების შემადგენლობა თითქმის სანახევროდ განახლდა, დეპუტატთა 60 პროცენტზე მეტი მუშები და კოლმეურნეებია, 40 პროცენტზე მეტს ქალები შეადგენენ.

განსაზღვრავს რა სახელმწიფო მართვის დემოკრატიული პრინციპების გზებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის პროგრამაში აღნიშნავს:

კომუნისტური შენებლობის მსვლელობაში გაიზრდება საბჭოების როლი, რომლებიც ხალხის ყოვლისმომცველი ორგანიზაცია, მისი ერთიანობის განსახიერება არიან. საბჭოები, რომლებშიც ერთმანეთთან შეხამებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ნიშნები, ხულ უფრო მეტად გამოდიან როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაშიც ფართოდ და უშუალოდ მონაწილეობენ მასები.

ჩვენი საბჭოები გამოხატავენ ხალხის სრულ ძალაუფლებას. საბჭოები ძლიერი არიან თავიანთი მასობრიობით. მათთან ერთად სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მრავალი მილიონი აქტივისტი მონაწილეობს.

პარტია ზრუნავს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლისა და აქტივობის ამაღლებისათვის. ამ ზრუნვით არის გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ამ დადგენილებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ყველა საბჭოს საქმიანობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის.

საბჭოების მუშაობას ახლა განსაზღვრავს სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები, მზადება ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის. ამ მუშაობამ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს საწარმოო გეგმების და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში, ხელი უნდა შეუწყოს მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას, მათი მომსახურების გაუმჯობესებას.

დღეს, როცა უკვე გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“ და საბჭოებს ხელთ აქვთ საბჭოთა ხალხის გმირული გზის შედეგები, მათ კიდევ უფრო უნდა გააქტიურონ მშრომელთა შორის ორგანიზატორული და მასობრივი მუშაობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისა და კანონების დაცვისადმი კონტროლის გზით, ამავე დროს აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი და განავითარონ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შემოქმედებითი ინიციატივა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ბევრი ადგილობრივი საბჭო წარმატებით ასრულებს თავის მოვალეობებს, იჩენს ინიციატივას, ოპერატიულად ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობას, სოფლის კეთილმოწყობას, ცდილობს, რომ ოქტომბრის 50 წლისთავისთვის სოფელში იყოს კლუბი, ბიბლიოთეკა, მათი ფილიალები საწარმოო ბრიგადებსა და ფერმებში, სოფელში იყოს კარგი გზები. ამ მხრივ კარგი ინიციატივა გამოიჩინეს თელავის, გორის და ზუგდიდის რაიონებმა, რომლებმაც გააჩაღეს შეჯიბრება მაღალი საყოფაცხოვრებო კულტურისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის. ამ თაოსნობას მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის ყველა რაიონსა და სოფელში. მშრომელთა ფართო მონაწილეობით უკვე გაშენდა ათობით პარკი, სკვერი, შენდება სტადიონები, სასპორტო მოედნები, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები. სოფლად იქმნება მაღალნაყოფიერი შრომისა და კულტურული დასვენების ყველა პირობა.

საუურადღებოა წყალტუბოს რაიონის ქვიტირის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე ს. არველაძე) საქმიანობა. სოფლის თავკაცი ახლოს იცნობს ადამიანებს, იცის მათი ყოველდღიური საჭიროებები, მისწრაფებები, უსმენს ადამიანებს და ყურად იღებს მათს რჩევას, წინადადებებს. სწორედ ამიტომ არის, რომ აქ რაც კარგი მოიფიქრეს, ყველაფერს ხორცი შეასხეს.

სოფელ ზედა მეხსეთში შალამბერიძეებისა და სვანიძეების უბნები ელექტროფიცირებული არ იყო. ეს საკითხი აღმასკომის სხდომაზე განიხილეს. შემდეგ ზემდგომ ორგანოებს მიმართეს, ამჟამად უბანში ელექტროსინათლე გაკვანილია. სოფლის ცენტრი მოუწყობელი იყო. თავმჯდომარემ თავისი ჩანაფიქრი საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს გაუზიარა და კონკრეტული წინადადებები წარადგინა. კარგ ინიციატივას ყველამ მხარი დაუჭირა. მოკლე დროში სოფლის ცენტრს სახე უცვლეს. სოფლის მოედანი და მასთან მისასვლელი გზები ასფალტით დაიფარა, შემოგარენი კი მწვანე ნარგავებმა დაამშვენა.

სასოფლო საბჭოს აღმასკომს უმადლიან იმას, რომ ქვედა ქვიტირში საბავშვო ბაღისა და ბიბლიოთეკისათვის ორსართულიანი შენობა აიგო, აქვე დაწყებითი სკოლისათვის 8-ოთახიანი შენობა აშენდა და ახალი მაღაზიაც გაიხსნა.

ახლა რესპუბლიკის რაიონებში ბევრია სოფელი, რომელიც თავისი კეთილმოწყობით დიდად აღარ ჩამორჩება ქალაქს. ასეთებია მახარაძის რაიონის სოფელი შრომა, წითელწყაროს რაიონის სოფლები ზემო მაჩხანი და ზემო ქედი, გალის რაიონის სოფელი ოქუმი და მრავალი სხვა. ყოველივე ეს ადგილობრივი საბჭოებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების ხალხის კეთილდღეობაზე ერთობლივი ზრუნვის შედეგია.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. ზოგიერთი საბჭო ნაკლებად იჩენს თავს, ზოგან ჯეროვნად არ აფასებენ სოფლის კეთილმოწყობას, ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნიათ. გვხვდება ფაქტები, როცა მიღებული გადაწყვეტილებანი მხოლოდ ქაღალდზე რჩება, რაიაღმასკომები ხელმძღვანელობენ ადგილობრივ საბჭოებზე ზედამხედველობა, ანგარიშს არ უწევენ დეპუტატთა წინადადებებსა და შენიშვნებს. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა მხარი დაუჭირონ საბჭოებს, მკაცრად მოსთხოვონ პასუხი იმ კომუნისტებს, რომლებიც არ ასრულებენ მათს მითითებებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭო სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა მისთვის მინდობილ ტერიტორიაზე.

დიდია ადგილობრივი საბჭოების საზრუნავი, მაგრამ დიდია მათი შესაძლებლობანიც. საბჭოებმა უფრო სრულად უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში და ამასთანავე ყოველნაირად შეუწყონ ხელი იმ დიდი ამოცანების განხორციელებას, რომლებსაც ჩვენი რესპუბლიკა წყვეტს დიადი იუბილეს წელს.

• მოგილოცავთ მაღალ ჯილდოს •

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგის სპეციალისტთა მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1967 წლის 13 ივლისი.

□ □

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი პირველი სასწავლებელია ამერიკავკასიაში, რომელიც 1878 წელს რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე ჩამოყალიბდა. თავისი არსებობის პერიოდში სასწავლებელმა მოამზადა სხვადასხვა დარგის მრავალი ტექნიკოსი. განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. თუ 1921 წლამდე ტექნიკუმმა 945 სპეციალისტი მოამზადა, საბჭოთა პერიოდში გამოშვებულია 9 ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური ტექნიკოსი, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ მანქანათსამშენებლო და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობაში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში. ტექნიკუმის ბევრი კურსდამთავრებული დღეს ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი ადამიანია.

და აი დიდად დაფასდა ამაგდარი ტექნიკუმის, მისი პედაგოგ-მასწავლებლების შრომა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ტექნიკუმი დაჯილდოდა შრომის წითელი დროშის ორდენით. გუშინ, ამ ცნობის მიღებისთანავე, „კომუნისტის“ კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სსრ დამსახურებულ მასწავლებელს მ. ჯიბუტს, რომელიც 36 წელიწადია ამ სასწავლებლის უცვლელი დირექტორია, მიულოცა მთავრობის მაღალი ჯილდო და სთხოვა მოკლედ ეამბნა ტექნიკუმის მუშაობის შესახებ.

— ჩვენი სასწავლებელი, — განაცხადა მან, — ამზადებს 9 სპეციალობის ტექნიკოსებს: ლითონების ჭრის დამუშავების, სამრეწველო წარმოებათა ელექტრომოწყობილობისა და დანადგარების, ელექტრომანქანათმშენებლობის, სატელევიზიო ტექნიკის და რადიორელეური კავშირისა და სხვა განხრებით. თავისი არსებობის პერიოდში ტექნიკუმის კოლექტივმა, სადაც მოღვაწეობენ ისეთი გამოცდილი ინჟინერ-პედაგოგები, როგორიც არიან შ. ვარსემაშვილი, შ. გუგუშვილი, ბ. კრასლავსკი, დ. ფოფხაძე, თ. სირაძე, დ. მერკვილაძე და სხვები შექმნა პირველხარისხოვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლის საბალანსო ღირებულება ერთმილიონ მანეთამდე აღწევს.

ამჟამად ტექნიკუმის დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე 155 გამოცდილი პედაგოგის ხელმძღვანელობით ცოდნას ეუფლება 2.100 მოსწავლე.

ძნელია ასეთ დროს ყველაფერზე დაწვრილებით საუბარი, ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ იმას, რომ ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებასთან ერთად ტექნიკუმის კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს სამრეწველო პროდუქციის შექმნასა და გამოშვებაში. გვეამაყება ის, რომ ჩვენი ტექნიკუმი 1964 წლიდან საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუდმივი მონაწილე და პრიზიორია.

მთავრობის ამ მაღალი ჯილდოს პასუხად ტექნიკუმის პედაგოგ-მასწავლებლები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ სამშობლოს მისცენ მორალურად და აკადემიურად მომზადებული ტექნიკოსები.



ᲗᲔᲚᲘ საქართველოში ცნობილია ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიის, სოციალისტური შრომის გმირის ქეთევან გოგიტიძის შრომითი საქმეები. საუბილეო წლის ჩაის კრეფის სეზონის დაწყების წინ ქ. გოგიტიძემ ვალდებულება იკისრა მაის-ივნისის გეგმა ვადამდე — 20 ივნისისათვის შეეასრულებინა. პირობა 10 ივნისისათვის გაანაღდა: 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 2.700 კილოგრამი ნედლეული და ივნისში ივლისის ანგარიშში მიმღებ პუნქტს ერთი ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარა.

ეს დღეები განსაკუთრებით ნაყოფიერია სახელოვანი მეჩაიისათვის. იგი ყოველდღიურად 100 კილოგრამ ნედლეულს კრეფს 25 კილოგრამის ნაცვლად და სეზონის ბოლომდე 9.500 კილოგრამის მოკრეფა იკისრა.

სურათებზე: ზემოთ — ქ. გოგიტიძე ჩაის კრეფის დროს; ქვემოთ — მწვანე კონცხი, სანატორიუმი „აჭარა“.

# მოგესალმეგით, მოგილოცავთ!

□ ᲘᲡᲔᲗᲘ უმაღლესი ჯილდო, როგორიც ლენინის ორდენია, არ შეიძლება აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მოეპოვებინა ისე თუ, სხვა დიდ ღონისძიებათა გატარებასთან ერთად, არ იქნებოდა მეცნიერების მონაპოვართა დანერგვა და მეცნიერების განვითარება.

შემდგომს დიდ წარმატებებს ვუსურვებთ მზიურ, ლაჟვარდოვან აჭარას!

**ვ. ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

□ ᲒᲐᲜᲐ რა უნდა იყოს საბჭოთა ადამიანისათვის იმაზე სასიხარულო და საამაყო, რომ მას საქმეს და ღვაწლს მაღალ შეფასებას აძლევენ ხალხი, მშობლიური კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა და რომ ეს შეფასება გამოიხატება ჩვენი სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით!

სულით და გულით მივესალმები აჭარის მშრომელებს, მუშებსა და კოლმეურნეებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს და ვულოცავ მათ შრომის ღირსეულ შეფასებას — ლენინის ორდენს.

**ᲐᲙᲐᲙᲘ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ,**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

□ ᲝᲫᲠᲝᲡ ფურცლად შევა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ისტორიაში 12 ივლისი. ამ დღეს მიენიჭა წალკოტად ქცეულ თქვენს რესპუბლიკას მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ვაშა თქვენს შრომას, დენო და ძმებო!

**Ა. ᲫᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძოლო საამქროს უფროსი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

□ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ჯილდო თქვენთან ერთად აღგვაფრთოვანებს ჩვენც, აფხაზეთის მშრომელებს. სულითა და გულით მოგილოცავთ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ორდენით დაჯილდოებას, ჩვენო მეგობრებო! გისურვებთ ახალ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს სალიდებლად.

**ᲚᲣᲡᲘᲐ ᲡᲘᲚᲝᲒᲐᲕᲐ,**
გალის რაიონის ბაროების კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

# Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲓᲐ Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘ

## ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡᲐᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ

18 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲓᲐᲜ მოსკოვს დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, რომლებიც მონაწილეობდნენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა და მთავრობების მეთაურთა თათბირში.

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ნ. კოსიგინს, ბ. ნ. პონომარიოვს შეხვდნენ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, დ. ხ. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი და სხვები. (საქდესი).

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელშიც განხილა საკითხი „რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკით უზრუნველყოფისა და მისი გამოყენების მდგომარეობის შესახებ“.

მოხსენება გააკეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. სიბაშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრები, დეპუტატები ი. კავლაძე, გ. კვეთაშვილი, ა. მაკაროვი, შ. ეცადაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სამმართველოს უფროსი ბ. ვაგიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილე გ. სეხნიაშვილი, თერჯოლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ღიბრაძე, ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. თეთვაძე, საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ფ. კვეთუაშვილი.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭადაძემ. (საქდესი).

50 ᲬᲚᲘᲡ

# საიუბილეო ვაჩარეზი

## კერი — სახელმწიფოს!

### ყვარლელებმა დავალება გაანაღდეს

ᲐᲛ საიუბილეო წელს კარგად იშრომეს ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მათ თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანეს. გაჩაღებულია პურეულის მკა. ყვარლელებმა უკვე 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ გადაეგზავნებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურეულის მარცვლის მიყიდვის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 1.000 ტონა ხორბალი და ქერი ნაცვლად 700 ტონისა.

სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმები დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს ჭიკანის მარქსის სახელობის, შილდის კუიბიშევის სახელობის, ენისელი ყაზნოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა. რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოსათვის საერთო მარცვლეულის მიყიდვის გეგმა სამინდის ჩათვლით 20 ივლისისათვის შეასრულონ. ეს აცნობეს „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ რედაქციას პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ᲗᲐᲕᲐᲫᲘᲡ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა მ. ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

## მომკილია 78.554 ჰექტარზე მეტი

ᲒᲐᲩᲐᲠᲓᲐ თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღება. ასობით კომბაინი გუგუნებს პურის ყანებში და იღებს საიუბილეო წლის მოსავალს. თუ ივლისის პირველ ხუთდღიურში მომკილ იქნა 22 ათასამდე ჰექტარი, მეორე ხუთდღიურში მომკილია 27.560 ჰექტარი. სულ რესპუბლიკაში აღებულია 78.554 ჰექტარი პურეული.

ბევრ რაიონში მოსავლის აღება ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. 10 ივლისისათვის ᲒᲐᲠᲛᲐᲓᲐᲑᲘᲜᲘ რაიონში 10.156 ჰექტარიდან მომკილი იყო 7.146 ჰექტარი, ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონში 30.720 ჰექტარიდან — 17.231 ჰექტარი, ᲮᲘᲠᲚᲘᲡᲘ რაიონში 23.261 ჰექტარიდან 17.079 ჰექტარი. მკის ტემპი გაძლიერდა გურჯაანის, საგარეჯოს, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, თეთრი წყაროს რაიონებში.

პურეულის აღება მასობრივად დაიწყეს ახმეტის, ბოლნისის, თელავის რაიონებში. კიდევ რამდენიმე დღე, და თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებას გააჩაღებენ დმანისის, ხაშურის, ქარელის,, გორის, კასპის, მცხეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენის, ასპინძის და სხვა რაიონებში.

დავიჩქაროთ მოსავლის აღება. 10-12 ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲨᲘ უზრუნველვყოთ პურეულის მკის დამთავრება, არ დავუშვათ დანაკარგები.

## ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

### საფქვავი და კომბინირებული საკვების მრეწველობის მუშაკთა წარმატება

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოთა კოლექტივები წარმატებით ასრულებენ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის ნაკისრ ვალდებულებებს.

ვადამდე შესრულდა ფქვილისა და მეცხოველეობის კომბინირებული საკვების წარმოების ნახევარი წლის გეგმა. ფქვილის წარმოების გეგმა რეალიზებულია 105,7 პროცენტით, 17.426 ტონით არის გადაჭარბებული ხარისხოვანი ფქვილის გამომუშავების დავალება, რაც 10.426 ტონით აღემატება საიუბილეო წლისათვის ნაკისრ ვალდებულებას. მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებმა ნახევარი წლის გეგმის გადაჭარბებით მიიღეს 11.858 ტონა ყუთიანი კომბინირებული საკვები, რაც 1858 ტონით აღემატება 1967 წლისათვის ნაკისრ ვალდებულებას.

წარმატებით შესრულდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმაც. საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ბეღლები, რომელთა ტევადობა 10.000 ტონაა. გადაჭარბებით შესრულდა ბრუნვის გადასახადის გეგმა, მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება 1.493 ათასი მანეთის ოდენობით.

(საქდესი).

# მშვიდობა — ვიეტნამს!

**ვიეტნამის საკითხზე მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონფერენციის მონაწილეთა პრეს-კონფერენცია**

**12 ივლისს საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტში გაიმართა ვიეტნამის საკითხზე მშვიდობისმოყვარე ძალების სტოკჰოლმის მსოფლიო კონფერენციის მონაწილე დელეგაციების პრეს-კონფერენცია.**

**საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მდივანმა მ. ი. კოტოვმა საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს წარუდგინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრები, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის დაცვის კომიტეტის სამდივნოს წევრი, პარლამენტის დეპუტატი ნგუენ მინ ვი, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენელი დინ ბა თბი, არაბული, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნების, ინგლისის, მადაგასკარის, ცეილონის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.**

**ნგუენ მინ ვიმ მაღალი შეფასება მისცა მსოფლიო კონფერენციის საქმიანობას. მან ილაპარაკა თავისი ქვეყნის ხალხთა გმირულ ბრძოლაზე ამერიკელ აგრესორთა და მათ მაჭაკავშირეთა წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა, რომ ვიეტნამელ ხალხს დიდ დახმარებას უწევენ სხვადასხვა კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ძალები. ორატორმა განსაკუთრებით აღნიშნა საბჭოთა ადამიანების ძმური დახმარება.**

**პრეს-კონფერენციაზე გამოვიდნენ თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი მუჰამედ ელ-ყვაჯა (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა), გორდონ შაფერი (დიდი ბრიტანეთი), ალფრედო ვარელა (არგენტინა), ჯოზეფ კურტისი (ნიგერია).**

**ორატორებმა აღნიშნეს, რომ სტოკჰოლმის მსოფლიო კონფერენცია ახალი ეტაპია იმ ძალების გაერთიანების გზაზე, რომლებიც იბრძვიან ვიეტნამში ამერიკის აგრესიის დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის. ყველა ორატორმა აღნიშნა, რომ ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგება შეიძლება სამი პუნქტის საფუძველზე: პირველი — დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ დაბომბვა და ომის სხვა აქტები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ; მეორე — შეწყვიტოს ამერიკამ აგრესია სამხრეთ ვიეტნამში, უპირობოდ, მთლიანად და საბოლოოდ გაიყვანონ ჯარები ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა სამხრეთ ვიეტნამიდან, მოაცდინონ ყველა სამხედრო ბაზის დემონტაჟი; და მესამე — საშუალება მისცეს ვიეტნამელ ხალხს თვითონ გადაჭრას თავისი საშინაო საქმეები დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის საფუძველზე. ასეთია ძენევის შეთანხმებათა პრინციპები და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პროგრამა. (საკდესი).**

# საერთაშორისო ცხოვრება

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომა

**ნიუ-იორკი,** 13 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ ერთი კვირის ხანგამოშვების შემდეგ მუშაობა განახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურმა სესიამ, რომელიც მოწვეულია საბჭოთა მთავრობის ინიციატივით, რათა განიხილოს საკითხი ისრაელის აგრესიისა არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

გუშინ ასამბლეამ მთავარი ყურადღება დაუთმო იმას, რომ ისრაელი უარს ამბობს შეასრულოს რეზოლუცია იერუსალიმის შესახებ, რომელიც 4 იკლისს მიიღო ასამბლეამ.

პაკისტანის წარმომადგენელმა აღა შაჰიმ განაცხადა, რომ ისრაელის ნეგატიურმა პასუხმა გენერალური ასამბლეის რეზოლუციაზე შეიძლება მხოლოდ დიდი აღშფოთება გამოიწვიოს. ისრაელი დემონსტრაციულად ამბობს უარს შეასრულოს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, რომელიც მიღებულია ხმის დიდი უმრავლესობით. ძველი კოლონიზატორების მსგავსად, განაგრძო შაჰმ,—ისრაელი თავის აგრესიას გვიხატავს სიკეთედ, ამტკიცებს, რომ „ცივილიზაციის ნაყოფი“ მიიტანა დაპყრობილ ტერიტორიებზე.

პაკისტანის წარმომადგენელმა განსაზღვრულად შეიტანა ახალი რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია უღრმესი წუხილი და შეშფოთება იმის გამო, რომ ისრაელმა არ შეასრულა გენერალური ასამბლეის 4 ივლისის რეზოლუცია. რეზოლუციის პროექტში დადასტურებულია ასამბლეის მოწოდება ისრაელისადმი გაატქმოს ყველა უკვე განხორციელებული ღონისძიება და აძიერიდან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედებისაგან, რომელიც შეცვლდა იერუსალიმის სტატუსს. რეზოლუციის პროექტი შეიცავს წინადადებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მიაწოდოს ინფორმაცია უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას, თუ როგორ სრულდება ასამბლეის გადაწყვეტილებანი. უშიშროების საბჭოს ეძლევა რჩევა მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოს ამ რეზოლუციის შესრულება.

ირდანეის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტუკანმა განაცხადა, რომ ისრაელის პოლიტიკა იერუსალიმში — ეს არის არა მარტო ქალაქის შთანთქმა, არამედ აგრეთვე ტერორი, სახლების ძარცვა, ბანკების ხელში ჩაგდება, შენობების დანგრევა. ისრაელი წინააღმდეგობას უწევს იმას, რომ ლტოლვილი არაბები დაბრუნდნენ იერუსალიმში, აგრეთვე სხვა რაიონებში ირდანის დასავლეთ ნაპირზე.

ირდანის წარმომადგენელი მოითხოვდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა წარმოადგინოს მოხსენება დაპყრობილ ტერიტორიაზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რაც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით. მან მოუწოდა ასამბლეას იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი ისრაელი აგრესორის ასალაგმავად.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ მოიგონა დამსწრეთ, რომ გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა რეზოლუცია, რომელშიც დიდი შეშფოთება გამოთქვა იერუსალიმში შექმნილი მდგომარეობის გამო.

ისრაელის მთავრობის პასუხი ამ რეზოლუციაზე სხვა არა არის რა თუ არ თავხედური და პროვოკაციული უგულებელყოფა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, მისი ყველა წევრისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებისა ფუძემდებელი პრინციპებისა, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა.

ხსდომის დასასრულს ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ებანმა. მან ილაპარაკა „უმაღლეს სულიერ ინტერესებზე“, რომლებსაც ისრაელი იცავსო, და მოუწოდა კიდევაც ასამბლეას სიხარულით შეხვდეს იერუსალიმი „გაერთიანებასა“ და „სულიერ განახლებას“.

ამ ფარისევლურმა თვალთმაქცურმა სიტყვამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ისრაელი ექსტერმისტები არ აპირებენ ანგარიში გაუწიონ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებას, რომელმაც მოუწოდა ისრაელს გაუქმოს ისრაელის ჯარების მიერ ოკუპირებული იერუსალიმის იორდანული ნაწილის ანექსიის ღონისძიებანი.



გენერალური ასამბლეის შემდეგი სხდომა დანიშნულია 13 ივლისს.

## ამერიკელ ჟურნალისტი

**ლონდონი,** 13 ივლისი. (საკდესი). დიდ ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის წევრი ლ. დიქსონი აირჩიეს მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის რეგიონალურ ორგანიზატორად, იუწყება დღეს გაზეთი „მორნინგ სტარი“.

## სავსებით მოიწონეს

**ბერლინი,** 13 ივლისი. (საკდესი). სოციალისტური ქვეყნების მომქმე პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელების ბუდაპეშტის თათბირიდან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვალტერ ულბრიხტისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვილი შტოფს დაბრუნებისთანავე აქ გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა, რომელზეც მოისმინეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ანგარიში. ამას იუწყება ადნ-ის საგაზეთო.

როგორც აღსანიშნულია ცნობაში, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამ სხდომამ დიდი შეფასება მისცა ბუდაპეშტის თათბირის შედეგებს. პოლიტბიუროს სავსებით ეთანხმება თათბირის გადაწყვეტილებას და მოიწონა დელეგაციის საქმიანობა.

## მოლაპარაკება კაიროში

**კაირო,** 13 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა სირიის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური ნურედინ ატასი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს პრეზიდენტების ნასერისა და არეფის და ალეპოს სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის ბუმედიენის მოლაპარაკებაში.

## ბრძოლები აღმოსავლეთ ნიგერიაში

**ლაგოსი,** 13 ივლისი. (საკდესი). აღმოსავლეთ ნიგერიაში გრძელდება ბრძოლები ფედერალური მთავრობის ჯარებსა და გამიჯნული აღმოსავლეთ ოლქის ჯარებს შორის. როგორც ფედერალური მთავრობის არმიის სამხედრო სარდლობა იუწყება, ფედერალურმა ჯარებმა დაიკავეს ოლქის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქი ოგოჯა და განაგრძობენ ქუჩის ბრძოლებს ქალაქ ნსუკაში.

ენუგუს რადიომ დაადასტურა, რომ ქალაქი ნსუკა გაცხარებული ბრძოლების ცენტრია. ამასთანავე განაცხადა, რომ აღმოსავლეთ ნიგერიის ჯარებმა „მნიშვნელოვანი წარმატებანი“ მოიპოვეს ამ რაიონში. ენუგუს რადიომ აგრეთვე გამოაცხადა, რომ აღმოსავლეთ ნიგერიის სამხედრო-საჰაერო ძალები ბომბავენ ფედერალური ჯარების თავმოყრის ადგილებს.

## სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოთოვა

**ლონდონი,** 13 ივლისი. (საკდესი). უწვეულოდ დიდი თოვლი მოვიდა კარული — ვრცელ ზეგანზე, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს.

როგორც რეიტერის საგაზეთოს იოჰანესბურგელი კორესპონდენტი იუწყება, თოვლის საფარის სისქე ზოგიერთ რაიონში მეტრნახევარს აღწევს. თოვლით დაიფარა რკინიგზა და საავტომობილო გზატკეცილები. შეწყვეტილია იოჰანესბურგის სატრანსპორტო კავშირი რესპუბლიკის სამხრეთთან.

## სტიქიური უბედურება დაგომეაში

**კოტონუ,** 13 ივლისი. (საკდესი). 25 ათასამდე დაგომეელი დარჩა უსახლკაროდ გრან პოპოს სანაპირო რაიონში მოსული ტროპიკული წვიმების შედეგად. ბობოქრებულმა წყალმა ბევრი დასახლებული პუნქტი წალეკა.

გრან პოპოს რაიონი 85 კილომეტრზეა ქალაქ კოტონუს დასავლეთით.

## ტრაგედია მდინარე რავიზე

**რავალპინდი,** 13 ივლისი. (საკდესი). ლაიალპურის სამხრეთით 85 კილომეტრზე, მარი პატანის რაიონში მდინარე რავიზე გუშინ დილას მოხდა ტრაგედია, რომლის დროს დაიღუპა ოთხმოცდათამდე კაცი, მათ შორის ქალები და ბავშვები. ბორანი, რომელსაც 200-ზე მეტი მგზავრი გადაჰყავდა მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე, მოჰყვა მორევში და ჩაიძირა.

# ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების დაბომბვა



**ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ წყვეტს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების დაბომბვას.**

**ეს ამერიკელი მფრინავი მეკობრე კი ამერიკიდან ვეღარ მიიღებს მონაწილეობას ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე თავდასხმებში. ვიეტნამელი მეზენიტეების ზუსტი ცეცხლით ჩამოგდებულ იქნა მისი თვითმფრინავი, ხოლო თვითონ ტყვედ ჩავარდა.**

**ფოტო ე. კობელევისა (საკდესის ფოტოკორონიკა).**

# მაკნამარას განცხადება

**ვაშინგტონი,** 13 ივლისი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ პრეზიდენტ ჯონსონს მოახსენა სამხრეთ ვიეტნამში თავისი მოგზაურობის შესახებ.

პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ მაკნამარამ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ საჭირო გახდება სამხრეთ ვიეტნამში გაიგზავნოს დამატებითი ჯარები.

ჩვენ მოველით, თქვა მაკნამარამ, რომ სხვა სახელმწიფოები, რომლებმაც თავიანთი ჯარები გაგზავნეს ვიეტნამში, განიხილავენ სამხრეთ ვიეტნამში თავიანთი ჯარების რიცხვის საკითხს. ამერიკის შეერთებული შტატები აგრეთვე იმსჯელებენ ამაზე თავიანთ მოკავშირეებთან და შემდეგ გადაწყვეტენ, თუ რამდენი ჯარი გაგზავნონ დამატებით სამხრეთ ვიეტნამში.

სამხრეთ ვიეტნამში, თქვა მაკნამარამ, ახლა არის 450-460 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი. ნებადართულია ჯარების რიცხვი 480 ათასამდე გაიზარდოს. უახლოეს 90 დღეში ვიეტნამში გაგზავნიან 20-30 ათას ამერიკელ ჯარისკაცს.

# სერიოზული უთანხმოება

**ბონი,** 12 ივლისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბონში ჩამოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ კიზინგერთან პოლიტიკური კონსულტაციებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის 1963 წლის ხელშეკრულებით. დე გოლს ახლავან პრემიერ-მინისტრი პომპიდუ და საფრანგეთის მთავრობის რამდენიმე მინისტრი.

მოლაპარაკების დღის წესრიგი ოფიციალურად არ არის გამოცხადებული. პრესა იუწყება, რომ მხარეები ერთმანეთს გაუზიარებენ აზრს ახლო აღმოსავლეთისა და ვიეტნამის მდგომარეობის თაობაზე, ნატოს მდგომარეობის შესახებ, „ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში“ ინგლისის შესვლის შესახებ და სხვა საკითხებზე.

ბონის მომმხილველთა ერთსულოვანი აზრით, საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკება მომდინარეობს საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მორის ამჟამად არსებულ სერიოზულ უთანხმოებათა ვითარებაში. როგორც დღეს გაზეთ „ნოიე რაინ-�ططუნგში“ ცნობილი დასავლეთგერმანელი პუბლიცისტი ფედერსენი აღნიშნავს, „ბონისა და პარიზის ურთიერთობა ღღითი ღღე უარესდება. ახლა საეჭვოა არსებობდეს თუნდაც ერთი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხი, რომელზეც ერთი აზრისა იქნებოდა ორივე მთავრობა“.

გაზეთი „დი ველტი“ აღნიშნავს, რომ ამ ბოლო თვეებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის პოზიციები „ყველა საგარეო“ პოლიტიკურ საკითხზე არა თუ არ დაუახლოვდნენ ერთმანეთს, არამედ უფრო წინააღმდეგობრივი გახდნენ“.

**პარიზი,** 12 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის დედაქალაქის პოლიტიკური მიმომხილველნი საკმაოდ სკეპტიკურად ფასობენ საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის მომავალი მოლაპარაკების პერსპექტივებს. „ეს ჩვეულებრივი, ყოველწლიური ვიზიტი, — აღნიშნავს დღეს გაზეთი „ფიგარო“, სრულიადაც არ ეკუთვნის იმთა რიცხვს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ენთუზიაზმი ან თუნდაც დაძაბული მოლოდინი“. „ორი დღის მოლაპარაკება, — აღნიშნავს, თავის მხრივ, „ლუმანიტე“, — იწყება მეტად ცუდ ატმოსფეროში“. **პარიზის** ფინანსური წრეების ორგანო გაზეთი „ეკო“ წერს იმ „თავბრუდასხმაზე, რომელიც იწყება, როგორც კი გაიფიქრებ, რა დიდი უთანხმოებანია საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის.

აღნიშნავენ, რომ ამ ქვეყნებს პირდაპირ საწინააღმეგო პოზიციები უკავიათ ყველაზე მწვავე საერთაშორისო საკითხებში. მაშინ, როცა საფრანგეთი დაადგა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნებთან თანხმობისა და თანამშრომლობის კურსს, დასავლეთ გერმანიის ხელისუფლების სათავეში მდგარი პირების შეცვლის შედეგიც უარი არ უთქვამს პროამერიკულ კურსზე და ოავის რევანშისტულ მისწრაფებებზე. ეხება საქმე ვიეტნამს, ახლო აღმოსავლეთს თუ ისეთ სპეციფიკურ საკითხს, როგორიცაა საერთო ბაზარი, ბონი მტკიცედ ადგას იმ ხაზს, რომელიც განისაზღვრა ვაშინგტონში.

ამ პირობებში პარიზში ნაკლებად შესაძლოდ მიაჩნიათ, რომ მომავალი შეხვედრები გასცდეს ინფორმაციის გაზიარების ფარგლებს.

# საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

**პარიზი,** 12 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იუწყება: დღეს დილით პარიზში გაიმართა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. კუვ დე მიურვილმა. თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მან მიუძღვნა პრემიერ-მინისტრ ჟ. პომპიდუს საბჭოთა კავშირში ამასწინანდელი ვიზიტის შედეგების ანალიზს. ეს აცნობა პრესის წარმომადგენლებს ინფორმაციის მინისტრმა ჟორჟ გორსმა.

ჟ. გორსმა აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრმა პირადად აიღო სიტყვა ამ სხდომაზე, რათა ხაზი გაესვა, რომ მისი საუბრები ლ. ი. ბრეჟნევთან, ა. ნ. კოსიგინთან და ნ. ვ. პოდგორნისთან უაღრესად საინტერესო იყო. ჟ. პომპიდუმ დიდი კმაყოფილება გამოთქვა გულთბილი მიღების გამო, რომელიც მას და მის თანმხლებ პირებს მოუწყვეს სსრ კავშირში მოგზაურობის დროს.

მ. კუვ დე მიურვილის მოხსენებაში, თქვა შემდეგ ინფორმაციის მინისტრმა, დაწვრილებით იყო აგრეთვე გაშუქებული ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხი.

მნიშვნელოვანი ნაწილი მთავრობის დღევანდელი სხდომისა, რომელიც, როგორც ჩვეულებრივად ელისეს სასახლეში მიმდინარეობდა პრეზიდენტ დე გოლის თავმჯდომარეობით, მიეძღვნა ბიუჯეტის, ეკონომიური და სოციალური საკითხების განხილვას.



**მრავალფეროვანია მონრეალის საერთაშორისო გამოფენის — „ექსპო-67“-ის მხატვრული გაფორმება. სურათზე თქვენ ხედავთ ხის სკულპტურულ ფიგურებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პავილიონის წინ.**

**ფოტო ჩტკ-საკდესისა.**

# ბალტიისპირეთის მშვიდობის X კვირეული

**როსტოკი,** 12 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ბორდეევი გვატყობინებს: ბალტიისპირეთის მშვიდობის X კვირეულზე შეკრებილი დანიის, ფინეთის, შვეიცის, ნორვეგიის, ისლანდიის, სსრ კავშირის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 70 პარლამენტარმა და საზოგადო მოღვაწემ მოუწოდა ევროპის ყველა სახელმწიფოს პარლამენტებსა და მთავრობებს განაგრძონ ღონისძიებანი მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად და ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალის გამოყენების მუქარის თავიდან აცილებლად. დისკუსიაში, რომელიც გაიმართა 10 და 11 ივლისს, ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებზე, გამოვიდა 35 პარლამენტარი და საზოგადო მოღვაწე.

დღეს გამოქვეყნებულ მიმართვაში ხაზგასმულია ორი გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის რეალობა. ევროპის სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება, აღნიშნულია მიმართვაში, ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებასა და ევროპის უშიშროების განმტკიცებას.

მიღებულია გადაწყვეტილება მომავალ წელს როსტოკში კვლავ მოაწყონ პარლამენტართა და პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხვედრა და განიხილონ შემდგომი ღონისძიებანი მშვიდობის შენარჩუნებისა და ევროპის სახელმწიფოების კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებისათვის.

„ვიეტნამი და ევროპის უშიშროება“ — ასეთია კიულუნგსბორნში გამართული კრების თემა. კრებაზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოებათა ლიგის თავმჯდომარემ პაულ ვანდელმა. მან თქვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა სოლიდარობით ეკიდება ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას. მან ამხილა ის, რომ ბონის მმართველი წრეები მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამის მიმართ. შვედმა მწერალმა ჰენრი-პეტერ მატისმა მოუწოდა შეკრებილთ, რომელთა შორის იყო ჩრდილოეთის ქვეყნებიდან ჩამოსული ასობით სტუმარი, კონკრეტულად იმოქმედონ ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გადაჭრით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამის მიმართ და ის, რომ ბონის მთავრობა მხარს უჭერს ამ აგრესიას. მათ მოითხოვეს აგრეთვე, რომ ევროპის სახელმწიფოებმა ცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა მიტინგი, რომელიც გაიმართა დღეს ბალტიისპირეთის ქვეყნების ახალგაზრდათა და სტუდენტთა საზაფხულო საერთაშორისო ბანაკში „გრანლმურიეცში“. მიტინგი მიმდინარეობდა ლოზუნგით: „საბჭოთა ხელისუფლების 50 წელი მხარს უჭერს ამ აგრესიას. ჩვენ ბოლამდე ვებრძოლებით ამ აგრესიის წინააღმდეგ“.

# ყოველი მხრიდან

**მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრშია სოციალისტური ქვეყნების მომქმე პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელების თათბირი, რომელიც 11-12 ივლისს გაიმართა ბუდაპეშტში.** ინფორმაციას ამ თემაზე გაზეთები ყველაზე თვალსაჩინო ადგილს აქცევენ. ხაზს უსვამენ, რომ სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ უჭერენ მხარს მეგობარ არაბულ სახელმწიფოებს სამართლიან ბრძოლაში ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, და უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები მის მიერ დაპყრობილ არაბთა ტერიტორიებიდან.

„ერთსულოვანი გადაწყვეტილება მეგობარი არაბული ქვეყნების შემდგომი მხარდაჭერის შესახებ“, „არაბული სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწევა და მხარდაჭერა ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის სამართლიან ბრძოლაში“, ასეთი სათაურებით აქვეყნებენ პოლონეთის გაზეთები სანინფორმაციო ცნობას თათბირის შესახებ. ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის გაზეთები, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები სათაურებში ხაზს უსვამენ, რომ თათბირის მონაწილეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მეგობარ არაბულ სახელმწიფოებს.

**მთელი** პრესა იუწყება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურმა სესიამ განაახლა მუშაობა.

**ბერლინი** გაზეთი წერს ისრაელის ახალ პროვოკაციებზე სუეცის არხის ბლოკადაზე. პოლონური გაზეთი **„ტრიბუნა მაზოვეცკა“** თავხედობასა და ცინიზმს უწოდებს იმას, რომ ისრაელი უარს ამბობს დაემორჩილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებას იერუსალიმის საკითხში. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ისრაელის მთავრობის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის უგულებელყოფა, მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრით, ამ ორგანიზაციის აბუნად აგდებაა. ისრაელის ალმაშფოთებელ პოზიციას გაზეთი იმით ხსნის, რომ აგრესორს მხარს უჭერს დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანა, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი.

**ლონდონის „დეილი ტელეგრაფი“** სარედაქციო სტატიაში უჩიოის სიძულვილებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს უქმნის არაბული ქვეყნების ეგბარგო ნავთობის მიწოდებაზე და სუეცის არხის ბლოკადა.

**„ნიუ-იორკ-ტაიმსი“** და **„ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“** აშუქებენ მაკნამარას შეხვედრას პრეზიდენტ ჯონსონთან და თავდაცვის მინისტრის პრეს-კონფერენციას, რომელიც ამის შედეგად გაიმართა. ხაზს უსვამენ, რომ მაკნამარამ მოახსენა პრეზიდენტს თავისი მოსაზრებანი სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის დამატებითი ჯარების გაგზავნის შესახებ. გაზეთების აზრით, ვაშინგტონი უახლოეს დროში მოსთხოვს თავის მოკავშირეებს „ბინძური ომში“ გაგზავნონ ჯარების ახალი კონტინგენტები საიგონს.

**პარიზის,** ბონის ლონდონისა და სხვა ქალაქების გაზეთები ბევრ ყურადღებას უთმობენ ვიეტნამის პრეზიდენტის დე გოლის ვიზიტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და მის მოლაპარაკებას კანცლერ კიზინგერთან **„გენერალ-ანცაიგერის“** სიტყვით, პრეზიდენტი დე გოლი კვლავ წინააღმდეგია, რომ ინგლისი მიიღონ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში“. ჰამბურგის „დი ველტის“ აზრით, მოლაპარაკება ბონში „მომდინარეობს ის ნიშნით, რომ დასავლეთი გერმანია და საფრანგეთი სხვადასხვა თვალსაზრისს ადგანან თანამედროვე საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში“. ინგლისური **„ფაინენშლ ტაიმსს“** მიაჩნია, რომ დე გოლის ვიზიტი „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გააძლიერებს იმედგაცრუებას საფრანგეთის პოლიტიკის გამო“.

**ლონდონის** გაზეთები კომენტარს უძღვნიან ტრანსპორტის მუშებისა და არაკვალიფიციური მუშების პროფკავშირის კონფერენციის გადაწყვეტილებას, რომელმაც გაიღაშქრა, კერძოდ, „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით გაზეთები წინასწარმეტყველებენ, რომ ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესისა და ლეიბორისტული პარტიის მომავალ კონფერენციებზე მწვავე უთანხმოება იქნება „საერთო ბაზრის“ საკითხის გამო. (საკდესი).


# კომუნისტი

მე-2 გვერდი, პარასკევი, 14 ივლისი, 1967 წ.

# მაღალი ჯილდო სასწავლებელს

## ჩვენი ინტერვიუ

**გუშინ** დიდი სიხარული სუფევდა თბილისის № 6 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. შუადღისას გაიმართა მიტინგი, რომელიც სიტყვით გახსნა პარტორგანიზაციის მდივანმა ა. ნაბელიშვილმა. სასწავლებლის კოლექტივს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება მიულოცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. აბულაძემ. მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს სასწავლებლის ოსტატმა ვ. გაბმოძემ, ამ სასწავლებლის ყოფილმა მოსწავლემ, სოციალისტური შრომის გმირმა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ზეინკალმა შ. ფირცხალავამ, ამავე ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გოგელიძემ, სასწავლებლის ალაკ კომიტეტის მდივანმა კ. შუკაკიძემ და მოსწავლე გ. დოლიძემ.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელი ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს კონსტანტინე მიქიაშვილს და სთხოვა მოკლედ მოეთხრო ამ სასწავლებელზე.

**მთელი** ჩვენი კომიტეტი ამაყობს იმით, რომ თბილისის № 6 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს ესოდენ დიდი პატივი ხვდა. ეს სასწავლებელი არსებობს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის დღიდან ე. ი. 1940 წლიდან. სასწავლებელი ამზადებს კვალიფიციურ მუშათა კადრებს — ხარატებს, მღარავებს, მექანიკურ საამწყობო სამუშაოთა ზეინკლებს, ზეინკალ შემკეთებლებს, ავტოშემკეთებლებს და სხვა პროფესიის კვალიფიციურ მუშებს. 1940 წლიდან დღემდე სასწავლებელმა მოამზადა 5.280 კვალიფიციური მუშა.

ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულები წარმატებით მუშაობენ რესპუბლიკის ფაბრიკებსა და ქარხნებში. საქეეყნოდ არის ცნობილი ჩვენი სასწავლებლის აღზრდილები — თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის ზეინკალი სოციალისტური შრომის გმირი შოთა ფირცხალავა, ამავე ქარხნის ხარატი ლენინის ორდენოსანი ზ. გველუკაშვილი და მრავალი სხვა, რომლებსაც მთავრობის სხვადასხვა ჯილდოები უმშვენებთ მკერდს.

სასწავლებელში საწარმოო სწავლების პროცესში მოსწავლეთა მიერ მზადდება სხვადასხვა ტიპის რთული პროდუქცია, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საწარმოებში. სასწავლებლის სახელოსნოებში დამზადებულია 1.500-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ლითონმჭრელი ჩარხი. აქ შექმნილი პროდუქცია გამოფენილია როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

შრომის წითელი დროშის ორდენი თბილისის № 6 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივმა მოიპოვა სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის.

მთავრობის ეს ჯილდო სასწავლებლის კოლექტივს უფრო დარაზმავს საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის.



თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი № 6 პროფტექნიკური სასწავლებელი. **სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) მოსწავლეები — ა. შოშიაშვილი და მ. იჩქითიძე, საწარმოო სწავლების ოსტატები ვ. გაბმოძე და დ. გავარდაშვილი, უფროსი ოსტატი რ. ბაზუნი, ოსტატები ვ. ოკუნევი, ა. ბოსტარიანი, გ. ბუხრიკიძე და მოსწავლე ა. ბეთლემიძე.

ფოტო გ. ნაზაროვისა.

# ლაგოდეხური ეთერზეთები

**ლაგოდეხისაკენ** მიმავალი მთავარი გზის ხელმარჯვნივ ყურადღებას იპყრობს ლამაზი წარწერა ალაყაფის კართან: **„ლაგოდეხის ეთერზეთების ქარხანა-საბჭოთა მეურნეობა!“** შედიხართ მის ტერიტორიაზე და პირველ რიგში გრძნობთ კაზანლიკის ვარდების, გერანისა და რეპანის სურნელებას. ეს კულტურა კარგახანია დამკვიდრდა, ფართო განვითარება ჰპოვა ამ ნაყოფიერ მიწაზე.

უკანასკნელ წლებში მეურნეობა გაფართოვდა, წინსვლა დაიტყო. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად სოფელი თავისუფლება მეურნეობის ტერიტორიას შეუერთდა. მეტი სახრუნავი გაუჩნდათ მეურნეობის კოლექტივს, ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს. ძვირფასი ზეთების წარმოებისათვის ნედლეულს ერთ-ერთი წყაროა თვით მეურნეობაში გაშენებული ეთერზეთოვანი კულტურები. ამასთან ერთად რაიონის კოლმეურნეობები იძლევიან ნედლეულს.

— ჩვენი მიზანია ქარხანა-მეურნეობა უფრო ძლიერი, რენტაბელური გახდეს, — თქვა დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა **იოსებ ჩირინაშვილმა.** ზარშან გეგმის შესრულებაში გვქონდა ეგრეთწოდებული ჩავარდნები, — განაგრძო სიტყვა დირექტორმა. მაგრამ ამ საიუბილეო წელს სანაქებო მაჩვენებლებისათვის ვიბრძვით.

როგორია ის წყაროები, რამაც უნდა უზრუნველყოს წარმატება წელს და ხუთწლედის შემდგომ წლებში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართოთ კონკრეტულ ფაქტებს. მეურნეობაში კაზანლიკის ვარდს 57 ჰექტარი უჭირავს. აქედან უკვე სრულმოსავლიანია 33 ჰექტარი. პირველი ზღუდე აღებულია. მაისსა და ივნისში ქარიშხლამა საგრძნობლად დააზიანა ეს კულტურა, მაგრამ საქმის სიყვარულმა და მეცადინეობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. გეგმით უნდა დამზადებულიყო 50 ტონა კაზანლიკის ვარდი, დავალება გადაჭარბებით შესრულდა.

დიდი და პახუხსაგები სამუშაო წინ არის. მოვლისა და ზრუნვას არ აკლებენ 71 ჰექტარზე რეპანისა და 39 ჰექტარზე გაშენებულ გერანის კულტურებს. ახლა მიმდინარეობს ამ კულტურების მოვლითი ღონისძიებანი: თოხნა, კულტივაცია, სასუქების შეტანა, რწყვა. განსაკუთრებით ყურადღებას ეთმობა გერანს. ამიტომ წინასწარი მონაცემებით საშუალოდ ჰექტარზე 20 ტონა ნედლეულის მიღებას ვარაუდობენ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12,2 ტონისა. სულ მეურნეობაში მიღებულ უნდა იქნას 1.100 ტონა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული. მოსავლის აღება კი აგვისტო-სექტემბერში გაჩაღდება.

შეიძლება ცალკე გამოვყოთ იმ ბრიგადის მუშაობა, რომელსაც **ვ. ბალოტინი** ხელმძღვანელობს. აქ ცხრა ჰექტარი გერანი სანიმუშოდ არის დამუშავებული. ყოველ ძირ გერანს ნამდვილი მზრუნველი ხელი ატყვია. ბრიგადირს უბის წიგნაკში ჩაწერილი აქვს მოსავლიანობის გაანგარიშება: საშუალოდ ჰექტარზე 30 ტონა ნედლეული! მაღალი მაჩვენებელია. ბრიგადირს ასეთი სიტყვა აქვს ნათქვამი, და უეჭველია იგი სიტყვას საქმედ აქცევს.

მეურნეობის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია შემოერთებული სოფლის კულტურული ცხოვრებით. მოკლე ხანში აიგო მთელი რიგი შენობები. სოფლის ცენტრში მთავარი ქუჩა მოასფალტებულია. გაიხსნა საბავშვო ბაღი, დაწყებულია სკოლის მშენებლობა, რომელიც 40.000 მანეთი დაჯდება. გათვალისწინებულია სასადილოს, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობა. სოფლის მცხოვრებლებს აწუხებთ სასმელი წყლის ნაკლებობა. ეს საკითხიც მალე მოგვარდება. უკვე შემოზიდულია მილები, რომლებსაც სამნახევარ კილომეტრზე ჩაწყობენ. წელს სოფელში წყალს მიიღებენ.

ეთერზეთების ნედლეულის წარმოებასთან ერთად საინტერესოა ქარხნის მუშაობა. გეგმით ქარხანამ წელს უნდა გამოუშვას 11.266 კილოგრამი ეთერზეთები: რეპანისა— 10.362 კილოგრამი, გერანისა — 850 კილოგრამი, ვარდის ზეთი კი 54 კილოგრამი. ამ დავალების შესრულება იოლი საქმე როდია. ამიტომ მთელი კოლექტივი დარაზმულია დასახული ამოცანის გადაჭრისათვის.

ბევრი სიახლე განხორციელდება შემდგომ წლებში. საკმარისია ითქვას, რომ 1968 წელს უნდა მოხდეს ქარხნის მთლიანი რეკონსტრუქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ გაიზრდება ქარხნის წარმადობა, ქარხანა თანამედროვე ახალი ტექნიკით აღიჭურვება.

უახლოეს წლებში უფრო გაფართოვდება, ნედლეულის ბაზა ეთერზეთების წარმოებისათვის. გაუჭრობესდება ხარისხი. ხუთწლედის ბოლოსათვის მეურნეობამ უნდა აწარმოოს სულ ცოტა 1.500 ტონა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული. ამიტომ მეტი დახმარება უნდა გავუწიოთ ლაგოდეხის ქარხანა-მეურნეობას. იგი მოკლე ხანში სანიმუშო მეურნეობა უნდა გახდეს. მოვიცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი, ძვირფასი ეთერზეთები!

**ნ. ჯანჯღავა,**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

# ნერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

## „კომუნისტს“ უპასუხებს პარტიის ორჯონიკიძის რაიკომი

**ჩვენი** გაზეთის მკითხველი პ. არევაძე გვწერდა მთელი რიგი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ჩხერში (შედის დაბა ორჯონიკიძის კოლმეურნეობაში). წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომს. რაიკომის პირველი მდივანი შ. ჯოგლიძე გვწერს:

„პ. არევაძის მიერ დაყენებული საკითხების შესასწავლად შეიქმნა კომისია. წერილში აღნიშნული ნაკლოვანებანი **ძირითადად დადასტურდა.** შემოწმების შედეგები განხილულ იქნა პარტიის რაიკომის ბიუროზე.

ბიუროს დაავალა სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარეს ე. აბაშიძეს დაუყოვნებლივ დაუბრუნოს კოლმეურნეობას სესხად წაღებული რკინა; ორჯონიკიძის სადაო საბჭოს ალმასკომს და დაბა ორჯონიკიძის კოლმეურნეობის გამგეობას დაევალათ უახლოეს დროში უზრუნველყონ მდინარე ჩხერიმერეზე ხიდის მშენებლობის დაწყება; მოსახლეობიდან სოფლის ელექტროფიკაციისათვის აკრეფილი 482 მანეთის ხარჯვის შესახებ მასალები შემდგომი დაზუსტებისათვის გადაეცა რაისაბჭოს ალმასკომის მილიციის განყოფილებას.

ამასთან ერთად პარტიის რაიკომის ბიურომ აღნიშნა, რომ პ. არევაძის მიერ დაყენებული საკითხები წინათ საფუძვლიანად და დამაჯერებლად არავის განუმარტავს მისთვის.

# „კომუნისტს“ უპასუხებს

## პარტიის ორჯონიკიძის რაიკომი

# ბელადის სიჭაბუკე

### გორის თეატრის სპექტაკლი „ოჯახი“ თბილისის სცენაზე

საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა ფართოდ არის ასახული საბჭოთა ლიტერატურაში, კერძოდ, დრამატურგიაში. ამ ნაწარმოებების საფუძველზე შეიქმნა ბევრი სპექტაკლი, რომლებიც ჩვენი თეატრალური ხელოვნების სახელს შეადგენენ. ლენინისადმი მიძღვნილ დრამატურგიულ ნაწარმოებთა შორის საყურადღებოა ძველი ბოლშევიკის ი. პოპოვის დრამა „ოჯახი“ (დაწერილია 1950 წელს), რომელმაც ჩვენი ქვეყნის ბევრ თეატრში შეიძინა სცენური სიცოცხლე.

ი. პოპოვის დრამას კარგად იცნობს ქართველი, კერძოდ, თბილისელი მაყურებელი. იგი ამ თხუთმეტი წლის წინათ იდგმებოდა რუსთაველის სახელობის თეატრში. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რომლითაც დედაქალაქის თეატრალური საზოგადოებრიობა შეხვდა გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლს რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე.

გორის თეატრის სპექტაკლის „ოჯახის“ დამდგმელია თეატრის მთავარი რეჟისორი, ჩვენი მაყურებლისათვის კარგად ცნობილი რეჟისორი **ლილი იოსელიანი** (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), სპექტაკლის შემქმნელი მთელი კოლექტივის — რეჟისორის, მხატვრის (შ. ხუციშვილი — რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი), მუსიკალური გაფორმების ავტორის (ლ. ქიშმიშევი), თვითეული მსახიობის მთავარი ამოცანაა რაც შეიძლება მაღალმხატვრულად და სცენური სიმარჯვით წარმოისახოს ის გარემო და განწყობილება, რომელშიც იწრთობოდა დიდი ოქტომბრის მომავალი ბელადის რევოლუციური მსოფლმხედველობა.

უნდა ითქვას, რომ თეატრმა კარგად გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას და შექმნა მთლიანი, რევოლუციური მგზნებარებით, გმირული პათოსით სავსე სცენური ნაწარმოები.

რეჟისორმა და მსახიობმა ა. გვაძაბიამ შეძლეს ორგანულ მთლიანობაში წარმოესახათ ჭაბუკი ვლადიმერ ულიანოვის ხასიათი, ჩვენ წინ დაეხატათ სიცოცხლითა და მგზნებარებით სავსე ახალგაზრდა, ხაზი გაესვათ მისი ბუნების იმ თვისებებისაათვის, რომლებშიც თავისებურად ვლინდებოდა მომავალი დიდი პოლიტიკური მოღვაწე და მშრომელთა ბედნიერებისათვის მებრძოლი ადამიანი.

სპექტაკლის ერთ-ერთი საუკეთესო სახეა აგრეთვე მარიამ ალექსანდრეს ასული ულიანოვა — დედა მომავალი ბელადისა. ეს სახე არა მარტო მისი შემქმნელის ნ. ზალდასტანიშვილი ის (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი) გამარჯვებაა. არამედ თეატრის მთელი კოლექტივისაც.

უნდა დავასახელოთ აგრეთვე სხვა როლების შემსრულებლები, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ქ. ხოჯორიშვილი, ლ. მცხეთელი, ე. აბაქელოვი, ს. ტატალაშვილი, მსახიობები ნ. სალუქაშვილი, ფ. ფალავანდიშვილი, ლ. ჩიჩოკაძე, ვ. ბასილაშვილი — გ. ფენინაშვილი, გ. ბასიშვილი, ა. სოფარელი, ა. ბერდღელიძე და სხვები, რომლებიც ნაწარმოებიდან ამოღებული ეპიზოდებიც ნამდვილ შეიტანეს სპექტაკლის საერთო წარმატებაში.

სპექტაკლი „ოჯახი“, რომელიც დამდგმელმა კოლექტივმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიუძღვნა, გორის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი საყურადღებო და საინტერესო ნამუშევარია.

**ლ. კიკნაძე.**

• • •

**სურათზე:** სცენა გორის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლ „ოჯახიდან“. ვალერია ულიანოვი — ა. გვაძაბია, ოლღა ულიანოვა — ნ. სალუქაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ზეხვედრა მწერალთან

**ბათუმი.** (საკ. კორ.). აქარის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ და საქართველოს მწერალთა კავშირის აქარის განყოფილებამ მოაწყეს მწერალ პ. ლორთქიფანიძის „საიმედო მომავლის“ განხილვა.

პ. ლორთქიფანიძის ახალ რომანზე ილაპარაკა ჟურნალ „ლიტერატურული აქარის“ რედაქტორმა შ. ქურციძემ.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა ჯ. ჯაველმა, ფ. ხალვაშმა, ნ. მალაზონიამ, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ხ. ახვლედიანმა, მკითხველებმა ნ. ლორიამ, ი. შეწირულმა, მ. ხომერიკმა.

# საოქტომბრო დათვალიერება

ახალციხის რაიონის მასობრივი ბიბლიოთეკები აქტიურად ჩაებნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ბიბლიოთეკების საკავშირო დათვალიერებაში.

დათვალიერების მიხედვით შეჯამებული იქნება მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაობა.

წიგნის საუკეთესო პროპაგანდისტთა რიგებში არიან ახალციხის სარაიონო და საბავშვო, აწყურის, აგარის და სხვა სასოფლო ბიბლიოთეკების თანამშრომლები.

**ლ. დათეგაშვილი.**

# რუსთაველ მოცეკვავეებს — საპატიო სიგელი

**რუსთავი.** (საკ. კორ.). ფართოდ გაითქვა სახელი ქართული ხალხური ცეკვების რუსთავის საქალაქო ანსამბლმა (ხელმძღვანელი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. დარახველიძე). ამას წინათ მან მიიღო სპეციალური მიწვევა ქალაქ ამურის კომსომოლსკიდან. როგორც ცნობილია, ამ ქალაქს არსებობის 35 წელი შეუსრულდა და გადაეცა მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით გამართულ საყოველთაო-სახალხო ზეიმზე რუსთაველი მოცეკვავეები დიდი წარმატებით გამოვიდნენ. კომკავშირის ხაბაროვსკის საქალაქო კომიტეტმა ქართველი მოცეკვავეები თავისი საპატიო სიგელით დაჯილდოვა.

# ბაგოდეხური ეთერზეთები

# მეცნიერის ლვაწლი

## გიორგი აბზიანიძის დაბადების ნი წლისთავის გამო

სამოცი წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ ლიტერატურათმცოდნეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი აბზიანიძეს.

გიორგი აბზიანიძე ქართველ მეცნიერთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც ამ ორმოცდაოდ წლის წინათ ჭაბუკური მგზნებარებით დადგა ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და ლიტერატურის, ახალი სოციალისტური კულტურის აკვანთან. ოთხი ათეული წელია იგი უანგაროდ და თავდადებით ემსახურება მშობლიური ერის კულტურის წინსვლასა და ახალგაზრდა სამეცნიერო თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

გიორგი აბზიანიძე დაიბადა 1907 წლის 23 მაისს ქუთაისში, ცნობილი პედაგოგისა და საბავშვო მწერლის ოჯახში. მან 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და აქვე განაგრძო ასპირანტურაში სწავლა ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალობით. ამ პერიოდიდან დაიწყო გ. აბზიანიძის ფართო მეცნიერული მოღვაწეობა, რომლის ძირითად საგანს გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის, კრიტიკისა და საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლა შეადგენს.

1939 წელს გ. აბზიანიძე მიაღწევს მოსკოვის კომუნისტურ აკადემიაში. იმავე წელს მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში წაიკითხა ქართული ლიტერატურის ზოგადი კურსი. 1935 წლიდან გ. აბზიანიძე მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, რომელიც იმხანად სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებობდა, ხოლო 1941 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტია, იგი თავდაპირველად იყო ამ ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, შემდეგ სწავლული მდივანი, 1947 წლიდან კი ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი.

1937 წელს გ. აბზიანიძე მიიწვიეს დოცენტად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1955 წლამდე კითხულობდა ახალი ქართული ლიტერატურის კურსს.

**პროფესორმა გიორგი** აბზიანიძემ დიდი შრომა გასწია გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის უნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლისა და სისტემატიზაციის საქმეში. იგი ავტორია ისეთი სანტერესო და საფუძვლიანი შრომებისა, როგორიც არის „ქართველი კლასიკოსები“, „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“ და სხვ. მასვე ეკუთვნის მონოგრაფიები ნიკოლოზ ბარათაშვილის, სოლომონ დოდაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე მაჩაბლის, სერგი მესხის და სხვა გამოჩენილ მწერალთა და მოაზროვნეთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველი უყურადღებოდ ვერ დატოვებს აგრეთვე გიორგი აბზიანიძის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ნარკვევებს: „ქენევის ქართველთა საზოგადოება“, „ულელი“, „ნ. ჩერნიშევსკის გავლენა ქართულ ლიტერატურაში“, „ნ. გ. ჩერნიშევსკის გამოუქვეყნებელი წერილები“, „ვის ეკუთვნის მოთხრობა „ჩერქეზის ქალი“, „ქართველების შეხვედრა ვიქტორ ჰიუგოსთან“, „პარიზის კომუნის გამოხმაურება ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში“ და სხვ. გ. აბზიანიძის წერილები ტარას შევჩენკოს, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას და მრავალ სხვა ქართველ, რუს თუ უკრაინელ მწერალთა შემოქმედებისა და ცხოვრების ცალკეულ საკითხებზე ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის საყურადღებო შენაძენია.

დიდი წვლილი დასდო გ. აბზიანიძემ ქართველ კლასიკოსთა თხზულებების გამოცემის საქმეს. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით განხორციელდა აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის აკადემიური გამოცემა. ამ ტომებზე დართული სამეცნიერო აპარატი, შენიშვნები, ვარიანტები და კომენტარები ნათლად მეტყველებენ მისი მთავარი რედაქტორის მიერ გაწეულ შრომასა და ერუდიციაზე. გ. აბზიანიძემ, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრმა მონაწილეობა მიიღო ნ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას და სხვა ქართველ მწერალთა თხზულებების მომზადებასა და გამოცემაში. მისი პირადი ხელმძღვანელობით, მონაწილეობითა და რედაქტორობით მომზადდა და უახლოეს დროში გამოვა ქართული ლიტერატურის ისტორიის კაპიტალური ნაშრომის მესამე და მეოთხე ტომები, რომლებიც XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარებასა და მისი უმთავრესი წარმომადგენლების შემოქმედების შესწავლას ეძღვნება.

სხვადასხვა დროს გიორგი აბზიანიძემ დიდი შრომა გასწია როგორც სწავლულმა მდივანმა და სარედაქციო კოლეგიის წევრმა საქართველოს ლიტერატურული მუზეუმისა და რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო ორგანოების —„ლიტერატურის მატიანისა“ და „ლიტერატურული ძიებანის“ მომზადება-გამოცემისათვის.

ქართულსა და რუსულ სამეცნიერო პრესაში თანამშრომლობასთან ერთად გ. აბზიანიძე 1934 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის, ლიტერატურული ენციკლოპედიისა და უკრაინული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციებთან. ამ გამოცემებში მისი არაერთი წერილი გამოქვეყნდა.

გ. აბზიანიძე სკკპ წევრია 1941 წლიდან. იგი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს აქტიური წევრია.

პროფესორ გიორგი აბზიანიძის მოღვაწეობა ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და ქართული კულტურისადმი გულწრფელი სამსახურის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. ვუსურვებთ ჩვენს ღვაწლმოსილ მეცნიერს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ წარმატებებს თავის მეცნიერულ, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

**ნ. ალანია,**
**შ. რატიანი,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები.

# ბაგოდეხური ეთერზეთები

# სპარტაკიადა ფრთებს ვლის

**საბჭოთა** ახალგაზრდობას, სპორტსმენებს ბუმბერაზად დიდი ზეიმი აქვთ. ხალხთა სპარტაკიადა, რაცხვით მეოთხე, საიუბილეო, ფრთებს შლის. ლუჟნიკში გრანდიოზულ საზეიმო ცერემონიალამდე ორ კვირაზე მეტი დარჩა, მაგრამ დედაქალაქის სპორტული ბაზებზე, ლენინგრადის სტადიონზე, ორიოლში, ყირიმის გზატკეცილებზე მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის სახელმოწოდებილ სპორტსმენთა პაექრობა, ბრძოლა პირველობისათვის, საპრიზო ადგილებისათვის.

**მოსკოვში** ხიმკის წყალსაცავზე ნიჩბოსნებმა „წუთისფენებმა“ აიღეს. უკვე ფინეთი ჰქონდათ ბაიდარებითა და კანოეთი მოასპარეზეებს. ლენინგრადში მთავრდება მოსწავლეთა სპარტაკიადა. ორიოლში დაიწყო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სპორტის ტექნიკურ სახეობაში— საპლანერო სპორტში. ყირიმის გზატკეცილზე გრძელდება მრავალდღიანი ველორბოლა. ერთი სიტყვით, სპარტაკიადა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეს მოიცავს არა მარტო შეჯიბრების თვალსაზრისით, არამედ წარმომადგენლობითაც.

სპარტაკიადის ჩემპიონები ბაიდარითა და კანოეთი ასპარეზობაში უკვე ცნობილი არიან. აქ მკითხველებს გვინდა შევახსენოთ საქართველოს წარმომადგენელთა შედეგები. ბაიდარებით ორიანთა ასპარეზობაში გ. ხუციერაშვილმა და ბ. მხეიძემ მეოთხე ადგილი დაიკავეს — 1 წუთი, 42,5 წამი. 1.000 მეტრზე ბაიდარებით ერთიანთა ასპარეზობაში ა. მატკაკა მეოთხე იყო — 46 წუთი, 20,8 წამი.

გუშინ სამსაჯო კოლეგიამ გამოაქვეყნა გუნდების მდგომარეობა 13 ივლისისათვის. ამ ცხრილში არ შედის მოსწავლეთა სპარტაკიადისა და ტექნიკურ სახეობათა სპორტში გამართულ ასპარეზობათა შედეგები. მასში მოცემულია ბაიდარებითა და კანოეთი შეჯიბრებისა და ველორბოლის მეორე ეტაპის შედეგები. აი როგორ გამოიყურება ეს ცხრილი: რსფსრ — 34 ქულა, უკრაინა — 30 ქულა, მოსკოვი — 27 ქულა, უზბეკეთი — 23 ქულა, ბელორუსია — 23 ქულა, ლიტვა — 21 ქულა, საქართველოს, ლენინგრადის, მოლდავეთისა და ყირგიზეთის გუნდებს — 20-20 ქულა აქვთ. ჩვენი კოლექტივისათვის აქ საშიში არაფერია. ნიჩბოსნებმა გუნდურ ჩათვლაში, როგორც წინა სპარტაკიადაზე, ისე ახლაც მეექვსე ადგილი დაიკავეს. მრავალდღიან ველორბოლაში კი წლევანდელი მაჩვენებლები უკეთესია. მაგალითად: მეორე ეტაპის შემდეგ შ. ჯუღაშვილს მესამე ადგილი უკავია. — 7 საათი, 18 წუთი და 48 წამი. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ველომრბოლები მეათე ადგილზე არიან.

დედაქალაქის სპორტული ბაზები ხაზეამოდ არის მორთული. ნაირფერი ალმები, სპარტაკიადის ემბლემა, ლოზუნგები, პლაკატები ამშვენებენ სტადიონის მისადგომებს, იარუსებს. ერთ-ერთ ასეთ სპორტულ ბაზას მოსკოვის „დინამოს“ სტადიონი წარმოადგენს. სწორედ აქ გაიხსნა სპარტაკიადის დიდი ტურნირი ფრენბურთში. შეხვედრები ერთდროულად ოთხ მოედანზე მიმდინარეობს.

ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნდი მოხვდა იმ ქვეჯგუფში, რომელშიც გამოდიან აგრეთვე ლენინგრადის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანისა და სოჩხეთის გუნდები. საქართველოს ქალთა გუნდს პირველი მატჩი ჰქონდა ყირგიზეთის გუნდთან. ძირითადი ბრძოლა უპირატესად პირველ პარტიაში მიმდინარეობდა. წინ იყვნენ საქართველოს ფრენბურთელები, მაგრამ ერთ მომენტში წონასწორობა აღდგა 13:13. შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს ჩვენმა ფრენბურთელებმა და პარტია მოიგეს — 15:13. მომდევნო ორ პარტიაში ქართველ ფრენბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო და წარმატებაც მათ ხვდათ —15:3, 15:0. ამრიგად, სტარტი ჩინებული გამოდგა, ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა— 3:0.

საქართველოს ვაჟთა გუნდი მოხვდა მე-2 ქვეჯგუფში, სადაც მისი მეტოქეები არიან ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ესტონეთის, ბელორუსიისა და ყირგიზეთის გუნდები. პირველ მატჩში ჩვენი მოწინააღმდეგე იყო ესტონეთის გუნდი. ეს შეხვედრა გვიან საღამოს გაიმართა, მოსკოვის „დინამოსა“ და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის შემდეგ.

ამ მატჩში ჩვენს ფრენბურთელებს თითქმის გარანტირებული ჰქონდათ მოგება. მათ გაიმარჯვეს პირველ ორ პარტიაში. მესამეშიც ანგარიში მიჰყავდათ, ჯერ 5:0, შემდეგ კი 8:3. და აი ამ დროს „მანქანაზ“ თითქოს ერთბაშად მოიშალა... ესტონელებმა მოიგეს არამარტო მესამე პარტია, არამედ მომდევნო ორი პარტიაც და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2. ეს ტურნირის სიურპრიზი იყო.

გუშინ ჩვენმა ფრენბურთელებმა მეორე ტურის მატჩები გამართეს. ქალებმა წაიგეს აზერბაიჯანის ძლიერ გუნდთან (0:3), ხოლო ჩვენმა ვაჟებმა მოუგეს ყირგიზეთის გუნდს (3:0).

რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს იწვევს კალათბურთელთა ტურნირი, რომელიც არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ბაზაზე გაიმართება. საქართველოს კალათბურთელები მეტად ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქალთა და ვაჟთა გუნდები ცუდ ფორმაში როდი არიან, მაგრამ ამაზე უკეთესი იქნება თვით მწვრთნელებს ლ. ძეკონსკისა და მ. კეკელიძეს მოუკითხონთ.

— ჩვენი ქალთა გუნდის საბრძოლო განწყობილება კარგია და ვეცდებით ფინალში გავიდეთ, — თქვა ლ. ძეკონსკიმ. —მაგრამ მეტად ძლიერ ქვეჯგუფში მოვხვდით და ბრძოლეგამარჯვებაა. არამედ თეატრის მთელი კოლექტივისაც.

უნდა დავასახელოთ აგრეთვე სხვა როლების შემსრულებლები, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ქ. ხოჯორიშვილი, ლ. მცხეთელი, ე. აბაქელოვი, ს. ტატალაშვილი, მსახიობები ნ. სალუქაშვილი, ფ. ფალავანდიშვილი, ლ. ჩიჩოკაძე, ვ. ბასილაშვილი — გ. ფენინაშვილი, გ. ბასიშვილი, ა. სოფარელი, ა. ბერდღელიძე და სხვები, რომლებიც ნაწარმოებიდან ამოღებული ეპიზოდებიც ნამდვილ შეიტანეს სპექტაკლის საერთო წარმატებაში.

სპექტაკლი „ოჯახი“, რომელიც დამდგმელმა კოლექტივმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ

# აირჩიეთ, საღ გსურთ ისწავლოთ!

„კომუნისტის“
ცნობათა გვერდი

## საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

**აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:**

**წარმოებისაგან მოწყვეტით**

1. **სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე** (ქართული და რუსული სექტორები — სწავლული აგრონომის სპეციალობით).
**დეკორაციული მებაღეობის განყოფილება** (ქართული და რუსული სექტორები — სწავლული აგრონომ-დეკორატორის სპეციალობით).
2. **სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის** (ქართული და რუსული სექტორები — ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით).
3. **სოფლის მეურნეობის წარმოების შეჭანიზაციის** (ქართული და რუსული სექტორები — ინჟინერ-შეჭანიზატორის სპეციალობით).

**წარმოებისაგან მოუწყვეტლივ**

1. **სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე** (ქართული და რუსული სექტორები — სწავლული აგრონომის სპეციალობით).
2. **სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის** (ქართული სექტორი — ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით).
3. **სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის** (ქართული სექტორი — ინჟინერ-მექანიზატორის სპეციალობით).

**ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ** შერჩეული სპეციალობის მიხედვით შემდეგ მაპროფილებელ საგნებში: **1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე:** ქიმია და ფიზიკა; **2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე:** მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა და ქიმია; **3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე:** მათემატიკა (ზეპირი, წერა) ფიზიკა და რომელიმე არამაპროფილებელი საგანი — ქიმია.

**ყველა შემსვლელი აბარებს გამოცდას** ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) ქართულ სექტორზე და რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) რუსულ სექტორზე.

**შენიშვნა:** ოქრის და ვერცხლის მედლებით საშუალო სკოლისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში, სახელდობრ: **1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე — ფიზიკაში, 2. სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — მათემატიკაში (ზეპირი). 3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე —** მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

იმ შემთხვევაში, თუ მედალისანი ან წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტი გამოცდას ჩაბარებს მაპროფილებელ საგანში ფრთადზე, ის თავისუფლდება შემდგომი გამოცდისაგან, ხოლო თუ მიიღო „კარგი“ ან „დამაკმაყოფილებელი“ — გამოცდას აბარებს ყველა საგამოცდო საგანში საერთო წესით.

**ინსტიტუტში ჩარიცხვა იწარმოებს 1967/1968 სასწავლო წლისათვის სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.**

განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმის მიხედვით შემსვლელის მიერ შერჩეული ფაკულტეტის ჩვენებით და უნდა დაერთოს: შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებლში შესასვლელად გაცემული სამუშაო ადგილიდან, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სკოლის ხელმძღვანელისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი ადგენენ დახასიათებას სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობისაგან. 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონე პირთათვის), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. წიგნაკში ნაჩვენები უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა, კოლმეურნეობისათვის ყოველი კალენდარული წლისათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმის აღნიშვნით. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან უმაღლეს სასწავლებელში ვაგზავნილმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ერთიანი ფორმის მიმართვა სასწავლებლებში მივლინების შესახებ. 4. ავტობიოგრაფია (დაწერილი საკუთარი ხელით), 5. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286) 6. ოთხი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომით 3×4 სმ). 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

მესამელენი პირადად ადგენენ პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებული) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირები).

**განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.**

**დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში.**

**ინსტიტუტის მისამართი:** სოხუმი-კელასური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

## ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-1968 სასწავლო წლისათვის გემთმშენებლობისა და გემთსამექანიკო განყოფილებებზე**

**ორივე** განყოფილებაზეა ქართული და რუსული სექტორები.

**სწავლების ვადა 4 წელიწადი და 3 თვე.**

**მიიღებიან მამრობითი სქესის პირები 15 წლის და 6 თვის ასაკიდან 30 წლამდე. რომლებსაც აქვთ განათლება არასრული საშუალო სკოლის მოცულობით და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით აკმაყოფილებენ მოთხოვნებს საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობისათვის.**

სასწავლებელში ყველა შემსვლელი აბარებს მისაღებ გამოცდებს რვაწლიანი სკოლის მოცულობით რუსულ ენაში — წერილობით (კარნახი), მათემატიკაში (არითმეტიკაში, ალგებრასა და გეომეტრიაში) — წერილობით და ზეპირად.

ქართულ სექტორზე შემსვლელნი აბარებენ აგრეთვე გამოცდას ქართულ ენაში — ზეპირად.

კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს და გაივლიან სამედიცინო კომისიას. აქვთ საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი, შემდეგ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში დათხოვნილი პირები, შემდეგ სულ მცირე ორი წლის საწარმოო მუშაობის სტაჟის მქონენი.

**განცხადებები სასწავლებელში შესვლის შესახებ მიიღება 31 ივლისამდე.**

განცხადებას უნდა დაერთოს: დაწერილებითი ავტობიოგრაფია, მოწმობა განათლების შესახებ (მხოლოდ დედანი). სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286). შრომის წიგნაკის პირი (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის), ამონაწერი სამხედრო ბილეთიდან (შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთათვის). დახასიათება-რეკომენდაცია, ოთხი ფოტოსურათი 3X4 ზომისა (უქუდოდ).

**მისაღები გამოცდები — 1-დან 20 აგვისტომდე. ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის 15 ივნისიდან 30 ივლისამდე იწყება მოსამზადებელი კურსები კურსებზე შესულთ საერთო საცხოვრებელი არ ეძლევათ.**

სასწავლებელში მიღების პირობების შესახებ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. № 1.

## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

**აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1967 წლისათვის**

**I. მეგბალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი** (დიღომი).

**დასწრებულ სწავლებაზე:** მეხილეობა — 1. მიკრობიოლოგია — 1. აგროქიმია — 1, ყურძნის ღვინისა და ხილეკენკროვანთა წვენებისა და ღვინის ტექნოლოგია —1.

**დაუსწრებელ სწავლებაზე:** მეხილეობა 1, მიკრობიოლოგია — 1 და ყურძნის ღვინისა და ხილეკენკროვანთა წვენებისა და ღვინის ტექნოლოგია —1.

**II. მიწათმოქმედების ნამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი** (მცხეთა, წეროვანი).

**დასწრებულ სწავლებაზე:** მიწათმოქმედება — 1, მემცენარეობა — 1, სელექცია და მეთესლეობა — 1. მიკრობიოლოგია — 1 და ბიოქიმია — 1.

**დაუსწრებელ სწავლებაზე:** მემცენარეობა—1 და აგროქიმია—1.

**III. ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი** (თბილისი, ზოია რუხაძის ქ. № 1).

**დასწრებულ სწავლებაზე:** აგროქიმია — 1 და ნიადაგმცოდნეობა — 1.

**IV. მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი** (ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 17);

**დასწრებულ სწავლებაზე:** ენტომოლოგია — 1, ფიტოპათოლოგია და მცენარეთა დაცვა — 2.

**დაუსწრებელ სწავლებაზე:** ფიტოპათოლოგია და მცენარეთა დაცვა — 1.

**V. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი** (თბილისი, დიღომი);

**დასწრებულ სწავლებაზე:** სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია—2, სოფლის მეურნეობის წარმოების ელექტროფიკაცია — 2 და სასოფლო-სამეურნეო მანქანები —1.

**დაუსწრებელ სწავლებაზე:** სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია — 2, სოფლის მეურნეობის წარმოების ელექტროფიკაცია 2 და სასოფლო-სამეურნეო მანქანები — 1.

**საკონკურსო გამოცდები იწარმოებს:** სპეციალობაში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

**დასახელებული ინსტიტუტების ასპირანტურაში შემსვლელთათვის,** გარდა მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის ასპირანტურაში შემსვლელებისა, მისაღები გამოცდები უცხო ენასა და სკკპ ისტორიაში ჩატარდება მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 17), ხოლო სპეციალობაში — შესაბამის ინსტიტუტებში.

**განცხადებების მიღება 1967 წლის 10 სექტემბრამდე.**

**მისაღები გამოცდები 1967 წლის 1 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრამდე.**

**დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტებში.**

## საქართველოს ზოოტექნიკურ-საველეგერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

**აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1967 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:**

**წარმოებისაგან მოწყვეტით: ვირუსოლოგია—1 ადგილი, კერძო ზოოტექნია — 1, ვეტერინარული მიკრობიოლოგია — 1 და ცხოველთა პათოლოგია და თერაპია — 1 ადგილი.**

**წარმოებისაგან მოუწყვეტლივ: კერძო ზოოტექნია — 1 ადგილი.**

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, ხოლო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ არაუმეტეს 45 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა არჩეული სპეციალობის მიხედვით. უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტები ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე.

**ასპირანტურაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.**

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით და ავტობიოგრაფია, 2. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის დამოწმებული პირი, 3. დახასიათება მუშაობის ან სწავლის უკანასკნელი ადგილიდან, 4. დოკუმენტი მუშაობის სტაჟის შესახებ, 5. გამოქვეყნებული შრომების სია. ის პირები, ვისაც გამოქვეყნებული შრომები არა აქვთ, ვალდებული არიან წარმოადგინონ სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი) სპეციალურ საგანში, 6. იმ პირებმა, რომლებსაც რეკომენდაცია ეძლევათ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, ასპირანტურაში შესასვლელად უნდა წარმოადგინონ ამონაწერი რეკომენდაციის შესახებ სამეცნიერო საბჭოს დადგენილებიდან.

**განცხადებები მიიღება 1967 წლის 25 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები — 5-დან 20 ოქტომბრამდე.**

**ინსტიტუტის მისამართი:** თბილისი, კრწანისი, ავტობუსი მარშრუტი № 23.

## საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საგარეჯოს ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის**
**დღის განყოფილების პირველ და მესამე კურსებზე**

**მიღება იწარმოებს**

1. **ჰიდრომელიორაციის,**
2. **ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაციის,**
3. **საქონელმცოდნეობის** (მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების) **სპეციალობებზე.**

**ტექნიკუმი ამზადებს** საშუალო განათლების სპეციალისტებს: **ტექნიკოს - ჰიდრომელიორატორებს, ტექნიკოს-მექანიკოსებს** და **საქონელმცოდნეებს.** ტექნიკუმში სწავლების პერიოდში მოსწავლეები დამატებით მიიღებენ: მჭედლის, ლურგლის, შემდუღებლის, კალატოზის, მლესავის, ავტომოყვარულის და სხვა სპეციალობებს.

**ტექნიკუმში მიიღებიან** მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

**პირველ კურსზე** ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენაში (წერა-მოთხრობა), 2. მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

**მესამე კურსზე** ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს; 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), 2. მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

**მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან:** ა) წარმოებიდან მოვლენებულნი, რომლებსაც აქვთ ორი წლის და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟი; ბ) საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი; გ) ოქროს, ვერცხლის მედალოსნები და არასრული საშუალო სკოლის ფრიადოსნები გამოცდას აბარებენ ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში (მათემატიკაში).

ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით.

**განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 10 აგვისტომდე.**

განცხადებას თან უნდა დაერთოს: 1. განათლების მოწმობა (ატესტატი დედანი); 2. ავტობიოგრაფია; 3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286); 4. სამი ფოტოსურათი (ზომით 3X4); 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 6. შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან ამონაწერი (ვისაც ეს აქვს).

**მისაღები გამოცდები — 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.**

**საბუთები მიიღება საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლის შენობაში.**

## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლა

**აცხადებს მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის განყოფილებებზე.**

**სტენოგრაფიის განყოფილება ამზადებს** სტენოგრაფებს და უმაღლესი კვალიფიკაციის სტენოგრაფებს. **მანქანაზე წერის განყოფილება** კი — მდივან-მემანქანეებს.

სკოლაში არის ორი სექტორი: ქართული და რუსული.

**სკოლაში მიიღებიან** მდედრობითი სქესის მოქალაქენი.

**სტენოგრაფიის განყოფილებაზე მიიღებიან** საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი, **მანქანაზე წერის განყოფილებაზე** — საშუალო და არასრული საშუალო განათლების მოქალაქენი.

სკოლაში შემსვლელი პირები გამოცდებს აბარებენ მშობლიურ ენაში (წერა).

**სტენოგრაფიის განყოფილებაზე სწავლის ვადა ორნახევარი წელია, მანქანაზე წერის განყოფილებაზე კი ერთი წელი.**

სკოლა სამეურნეო ანგარიშზეა.

სკოლაში შემსვლელმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ორი ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

**განცხადება მიიღება 27 აგვისტომდე, ყოველდღიურად დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე.**

**მისაღები გამოცდები 28 აგვისტოს.**

**სკოლის მისამართი:** ქ. თბილისი, კამოს ქ. № 52, ტელ. 5-99-02.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის № 31 რკინიგზის პროფტექნიკური სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის**
**ერთ და ორწლიანი სწავლების ვადით შემდეგ სპეციალობებზე:**

I. ელმავლის შემკეთებელი ზეინკლები 2. ვაგონების შემკეთებელი ზეინკლები, 3. რკინიგზის მეურნეობის ბრიგადირები, 4. რკინიგზის საკონტაქტო ქსელის მონტიორები, 5. ზეინკალ-ელექტმონტიორები, 6. ლიფტების ამწყობი ზეინკლები, 7. ავტოშემკეთებელი ზეინკლები, 8. დურგალ მეავეჯეები, 9. ქალაქის სატელეფონო სადგურების მომსახურებისა და შეკეთების მონტიორები (საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მოვლენებით).

**სასწავლებელში მიიღებიან** 8, 9, 10 კლასის განათლების მქონე ქალაქისა და სოფლის 16 წლის ასაკის ახალგაზრდები.

**სწავლის ხანგრძლივობა ორი წელია.**

**სასწავლებელში მიიღებიან აგრეთვე** მხოლოდ 10 კლასის განათლების მქონე ქალაქისა და სოფლის 17-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები შემდეგ სპეციალობებზე:

**1. ფოსტა-ტელეგრაფის ოპერატორები — ქალები** (საქ. სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მოვლენებით);

**2. რკინიგზის ვაგონების შემკეთებელ-გამსინჯველები.**

**3. საკონტაქტო ქსელის მონტიორები.**

**სწავლის ვადა ერთი წელია.**

სასწავლებელში სწავლის დრო ითვლება საერთო და უწყვეტ სტაჟად.

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის ზუსტად აღნიშვნით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. დაბადების მოწმობა (დედანი), 2. განათლების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. ავტობიოგრაფია, 5. ფოტოსურათი, ზომით 3×4 — 6 ცალი.

**ჩარიცხვა მოხდება** არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გასაუბრების შედეგებისა და ატესტატის კონკურსის საფუძველზე.

სასწავლებელში ორწლიანი სწავლების ჯგუფებში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით და ჩაცმა-დახურვით.

ერთწლიან სწავლების ჯგუფებში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია არსებული წესის მიხედვით და ყველა მოსწავლეს საწარმოო სწავლების პროცესში გამომუშავებული თანხის 33%.

**განცხადებები მიიღება 1967 წლის 31 აგვისტომდე.**

**მეცადინეობა დაიწყება 1967 წლის 1 სექტემბერს.**

**სასწავლებლის მისამართი:** თბილისი, ლენინის რაიონი. **ოქტომბრის ქ. № 134.** ავტობუსი №№ 11, 18, 31, 31-ა. ტრამვაი №№ 6 და 11. ტელეფონი 9-41-51 (კომუტატორი) დამ. 61-40, 65-77.

## თბილისის № 36 პროფტექნიკური სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის**

**კვალიფიციური** მჭედლების სპეციალობაზე სასწავლებელში მიიღებიან 16-25 წლის ქალიშვილები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სრული საშუალო სკოლა.

**სწავლების ხანგრძლივობა 18 თვეა და ითვლება საწარმოო სტაჟად. სასწავლებელში მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით, ამასთანავე პრაქტიკული მუშაობის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს.**

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1 .ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. 4 ცალი ფოტოსურათი (3×4), 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 7. პასპორტი წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად.

**საშუალო სკოლადამთავრებულებს, რომლებიც წარჩინებით დასრულებენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს და იმუშავებენ თავისი სპეციალობის მიხედვით, უფლება აქვთ საღამოს დასწრებულზე დაუსწრებელ ინსტიტუტში ჩაირიცხონ კონკურსგარეშე.**

აგრეთვე საშუალო სკოლადამთავრებულებს, რომლებიც წარჩინებით დამთავრებენ პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელს, უფლება ენიჭებათ ამავე წელს ჩაბარონ მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში პროფილის მიხედვით დღის დასწრებულზე.

განცხადებები მიიღება 1967 წლის 30 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

**სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ორჯონიკიძის რაიონი, ლენინის ქ. № 59** (თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ტერიტორიაზე).

**თბილისის № 36 პროფტექნიკური სასწავლებელი, ტელეფონი 3-90-67, 3-90-50, ავტობუსი № 2, № 5, № 50, ტროლეიბუსი № 6, № 4.**

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის № 31 რკინიგზის პროფტექნიკური სასწავლებელი

**აცხადებს მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის**
**ერთ და ორწლიანი სწავლების ვადით შემდეგ სპეციალობებზე:**

I. ელმავლის შემკეთებელი ზეინკლები 2. ვაგონების შემკეთებელი ზეინკლები, 3. რკინიგზის მეურნეობის ბრიგადირები, 4. რკინიგზის საკონტაქტო ქსელის მონტიორები, 5. ზეინკალ-ელექტმონტიორები, 6. ლიფტების ამწყობი ზეინკლები, 7. ავტოშემკეთებელი ზეინკლები, 8. დურგალ მეავეჯეები, 9. ქალაქის სატელეფონო სადგურების მომსახურებისა და შეკეთების მონტიორები (საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მოვლენებით).

**სასწავლებელში მიიღებიან** 8, 9, 10 კლასის განათლების მქონე ქალაქისა და სოფლის 16 წლის ასაკის ახალგაზრდები.

**სწავლის ხანგრძლივობა ორი წელია.**

**სასწავლებელში მიიღებიან აგრეთვე** მხოლოდ 10 კლასის განათლების მქონე ქალაქისა და სოფლის 17-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები შემდეგ სპეციალობებზე:

**1. ფოსტა-ტელეგრაფის ოპერატორები — ქალები** (საქ. სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მოვლენებით);

**2. რკინიგზის ვაგონების შემკეთებელ-გამსინჯველები.**

**3. საკონტაქტო ქსელის მონტიორები.**

**სწავლის ვადა ერთი წელია.**

სასწავლებელში სწავლის დრო ითვლება საერთო და უწყვეტ სტაჟად.

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის ზუსტად აღნიშვნით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. დაბადების მოწმობა (დედანი), 2. განათლების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. ავტობიოგრაფია, 5. ფოტოსურათი, ზომით 3×4 — 6 ცალი.

**ჩარიცხვა მოხდება** არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გასაუბრების შედეგებისა და ატესტატის კონკურსის საფუძველზე.

სასწავლებელში ორწლიანი სწავლების ჯგუფებში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით და ჩაცმა-დახურვით.

ერთწლიან სწავლების ჯგუფებში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია არსებული წესის მიხედვით და ყველა მოსწავლეს საწარმოო სწავლების პროცესში გამომუშავებული თანხის 33%.

**განცხადებები მიიღება 1967 წლის 31 აგვისტომდე.**

**მეცადინეობა დაიწყება 1967 წლის 1 სექტემბერს.**

**სასწავლებლის მისამართი:** თბილისი, ლენინის რაიონი. **ოქტომბრის ქ. № 134.** ავტობუსი №№ 11, 18, 31, 31-ა. ტრამვაი №№ 6 და 11. ტელეფონი 9-41-51 (კომუტატორი) დამ. 61-40, 65-77.

## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მარტყოფის ტექნიკუმი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის**

**ტექნიკუმში მიიღებიან** 30 წლის ასაკამდე ორივე სქესის მოქალაქენი. ტექნიკუმს აქვს სამი პროფილი: მექანიზაციის, ელექტროფიკაციის და მიწათმოწყობისა. ტექნიკუმი ამზადებს სოფლის მეურნეობის ტექნიკოს-მექანიკოსებს, ელექტროტექნიკოსებსა და ტექნიკოს-მიწათმმოწყობებს. ტექნიკუმს მოწაფეები შეიძენენ აგრეთვე დამატებით პროფესიებს, როგორიც არის: ავტომძღოლის, ელექტრომონტიორის, ფართი პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანის და სხვა პროფესიები.

**მექანიზაციის და ელექტროფიკაციის პროფილის პირველ კურსზე ჩაირიცხებიან** არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, აგრეთვე IV-8, მე-9 კლასების კლასდამთავრებულნი (სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი და 6 თვეა), რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენაში (წერა), 2. მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

**მექანიზაციისა და მიწათმმოწყობის პროფილის მეორე კურსზე მიიღებიან** საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 6 თვეა), რომლებიც გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), 2. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

**უგამოცდოდ ჩაირიცხებიან** არასრული საშუალო სკოლის ის კურსდამთავრებულნი, რომლებიც დაჯილდოებული არიან ქების სიგელით (ფრიადოსნები) ან საშუალო სკოლის ოქროს (ვერცხლის) მედლით კურსდამთავრებულნი.

**კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან** ის პირნი, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა და რომლებსაც სწავლისათვის კოლმეურნეობები ან საბჭოთა მეურნეობები გზავნიან, აგრეთვე სამხედრო სამსახურიდან და საზღვაო ფლოტის რიგებიდან დემობილიზებულნი. ყველა დანარჩენი კი ჩაირიცხება კონკურსის მიხედვით.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე (პროფილის ჩვენებით), შემდეგი საბუთების დართვით: 1. დოკუმენტი არასრული საშუალო თუ საშუალო სკოლის დამთავრების, ან ცნობა საშუალო სკოლის 9, 10 კლასში გადასვლის შესახებ; 2. ავტობიოგრაფია; 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 4. სამი ცალი ფოტოსურათი უქუდოდ (3×4 სმ ზომისა); 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნეობის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ (იმ პირთათვის, ვისაც აქვს საწარმოო მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა), კოლმეურნეობიდან, საბჭოთა მეურნეობიდან ან სხვა საწარმოების მიერ გამოგზავნილებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ მომართვა გამომგზავნელ ორგანიზაციისაგან ფორმა № 1-ის მიხედვით; 6. პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დამადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედროვალდებულთათვის) ან მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის).

**განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე.**

**მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე.**

ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე.

**მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.**

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით საერთო საცხოვრებელში და დაენიშნებათ სტიპენდია საერთო წესით.

**ყოველგვარი ცნობების მიღება ტექნიკუმში ჩარიცხვის შესახებ შეიძლება** ყოველდღე 9-დან 17 საათამდე გარდა უქმე დღეებისა.

**მისამართი: მარტყოფი, მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმი.**

## უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის**

**ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოსებს შემდეგ სპეციალობებზე:**

**ა. დღის განყოფილება**

**8 კლასის ბაზაზე:** 1. სამრეწველო საწარმოებისა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, 2. საკედ-სატვიფრო წარმოება, 3. ავტომშენებლობა (ქართული სექტორი). 4. ლითონების ჭრით დამუშავება (რუსული სექტორი).

**10 კლასის ბაზაზე:** 1. საჩამოსხმო წარმოება, 2. ლითონების ჭრით დამუშავება, 3. საიარაღო წარმოება, 4. ავტომობილების ექსპლოატაცია, 5. ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

**ბ. საღამოს განყოფილება**

**8 კლასის ბაზაზე:** 1. ლითონების ჭრით დამუშავება, 2. ავტომშენებლობა.

**10 კლასის ბაზაზე:** 1. სამრეწველო საწარმოებისა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, 2. საჩამოსხმო წარმოება, 3. ლითონების ჭრით დამუშავება, 4. ავტომშენებლობა.

**მასალებ გამოცდებზე დაიშვებიან** სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე (საღამოს განყოფილებაზე შემსვლელთათვის ასაკი განუსაზღვრელია).

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა მიმართონ განცხადებით ტექნიკუმის დირექ